ხელშეკრულება - 2014 N175
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000002)

ქ. თბილისი „30" „დეკემბერი" 2013 წ.

ერთის მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო** (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის ავთანდილ ძაგანიას სახით და **მეორეს მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია"** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ზაზა ქათამაძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, ,,2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N1816 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. ავტორიზებული ავტომანქანა - შემსყიდველის ავტომანქანა, რომელშიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს *[პრემიუმი, არანაკლებ 95, არანაკლებ EURO4]* ჩასხმა.

1.8. აგაი სისტემა - სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და, შედეგად, უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე პრემიუმის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" მიერ საწვავის შესყიდვა ეტაპობრივად, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. საწვავის შეძენა პირველ ეტაპზე განხორციელდება ტალონებით ან/და პლასტიკური ბარათების საშუალებით შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი მოთხოვნის შესაბამისად (პლასტიკური ბარათის დასამზადებლად შემსყიდველმა უნდა წარმოადგინოს „დანართი 4"). ხოლო არაუგვიანეს 2014 წლის 01 ივლისისა საწვავის შეძენა განხორციელდება ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში - ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის (შემდგომში - აგაი სისტემა) საშუალებით.

2.3. საწვავის გაცემა განხორციელდება დანართი N3-ით განსაზღვრული ავტოგასამართი სადგურების საშუალებით და მხოლოდ იმ ავტომობილებზე რომლებიც მითითებული იქნება ხელშეკრულების დანართი N2-ში.

1.4-3.5

2.4. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი პრემიუმის მოცულობა, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 26 000 (ოცდაექვსი ათასი) ლარს.

3.2. საწვავის საორიენტაციო რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარდა ტრანსპორტირების ხარჯებისა სითხის მიწოდების შემთხვევაში) მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

4. საქონლის ფასის დაანგარიშების პირობები

4.1. ტენდერში მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში (მიმწოდებლის ნავთობბაზამდე და ავტოგასამართ სადგურებამდე ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%)) - P$$

რომელშიც: C - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ *[პრემიუმის მარკის საწვავზე]* (ლარში); R –აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2013 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D - გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი *[პრემიუმის მარკის საწვავის]* სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% - დღგ; P - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2013 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში.

4.2. მიმწოდებლის 1 ლიტრი საწვავის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

სადაც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის (სააწგარიშო თვე) შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D გამარჯვებულ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3. C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას პრემიუმის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში. ამასთან, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი პრემიუმის მიწოდების კალენდარული თვის განმავლობაში არსებული ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები, ხოლო არასაბარათე სისტემის (ტალონები) მეშვეობით შესყიდვისას გასატანი 1 ლიტრი საწვავის ფასი უნდა იყოს შესაბამისი მარკის საწვავის გატანის მოთხოვნის დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი პრემიუმის სააწგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%-ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C უნდა იყოს გამარჯვებული

მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი პრემიუმის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ მოხდა დამატებითი შეთანხმების სახით C-ს ცვლილების ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი თვის C-ს ოდენობით. C-ს ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას (შემდგომში - სატენდერო კომისია).

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი პრემიუმის 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4.7. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი პრემიუმის ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2014@spa.gov.ge .

4.8. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ჩათვლის უფლებით განთავსებულია დღგ-სგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საქონლის ფასი დაანგარიშდება წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ფორმულის შედეგად დაფიქსირებულ ფასს (C) გამოკლებული დღგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ტალონების (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით) მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონების გადაცემაზე შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას);

ბ) შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ტალონის და/ან პალასტიკური ბარათის წარდგენისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (ტალონებით საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება).

გ) 2014 წლის წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივლისისა, უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დანართი 2-ით გათვალისწინებული ავტომანქანების, აღჭურვა **აგაი სისტემით** (ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა) რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის ჰისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას. აღნიშნულ სისტემასთან დაკავშირებით მიმწოდებელი თავის ვებ გვერდზე შემსყიდველებისათვის განათავსებს შესაბამის ინსტრუქციას.

დ) უზრუნველყოს აგაი სისტემის დამონტაჟება ყველა იმ ავტორიზებულ ავტომანქანაზე, რომელიც ავტორიზაციას მიიღებს 2014 წლის 20 ივნისის შემდეგ და 2014 წლის 20 დეკემბრამდე, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან შესაბამისი განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. აგაი სისტემის დაწერგვის შემდეგ, საწვავის პლასტიკური ბარათების ან/და ტალონის სახით მიწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, სატენდერო დოკუმენტაციის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანებისა ან/და სატენდერო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

ე) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) საწვავის გაცემა უზრუნველყოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

5.3. აგაი სისტემის კომპონენტები წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას, რომელსაც იგი დროებით, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საფასურის გარეშე გადასცემს შესაბამის შემსყიდველ ორგანიზაციას ავტორიზებულ ავტომანქანებზე დამონტაჟების გზით. მიმწოდებელმა არაუგვიანეს 2015 წლის 31 იანვრისა უნდა მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული აგაი სისტემის კომპონენტის დემონტაჟი, რისთვისაც შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2015 წლის 1 იანვრიდან მიმწოდებელთან წინასწარ შეთანხმებულ, გონივრულ ვადაში და მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართებზე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული აგაი სისტემის კომპონენტის მიმწოდებლისთვის უკან დაბრუნების მიზნით, ან აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში - აუნაზღაუროს მიმწოდებელს აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულება.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით, სატენდერო დოკუმენტაციით ან/და სატენდერო კომისიის რეკომენდაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს გამარჯვებულ მიმწოდებელთან (მაგ. გამოყოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, შეათანხმოს ვადები და ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა და რიგითობა და სხვა საკითხები) მის ავტორიზებულ ავტომანქანებზე, მიმწოდებლის მიერ მითითებულ მიმსამართებზე აგაი სისტემის დამონტაჟებისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის მიზნით.

ე) არაუგვიანეს 2014 წლის 01 მარტისა მიმწოდებელს წარუდგინოს ავტორიზებული ავტომანქანების ჩამონათვალი დანართი №2-ის შესაბამისად, რომლებზეც უნდა მოხდეს აგაი სისტემის დამონტაჟება.

ვ) გაეცნოს მიმწოდებლის ვებ გვერდზე განთავსებულ აგაი სისტემის ინსტრუქციას და შეასრულოს ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ზ) გამონაკლის შემთხვევაში („ოპერატიულ-სამეურნო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროება, შენობა-ნაგებობის გათბობის, უწყვეტი ენერგომომარაგების ან/და დასუფთავების საჭიროება, სპეციალური ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფა), თუ შესასყიდი პრემიუმის მოცულობა 2014 წლის განმავლობაში 3 000 ლიტრს აღემატება, არასაბარეთე და/ან აგაი სისტემის გარეშე პრემიუმის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით შემსყიდველი შესაბამისი დასაბუთებით (პრემიუმის მოცულობა, სატრანსპორტო საშუალება და მისი საშუალო საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე ან საწვავის მოხმარების სხვა ობიექტის ანალოგიური მონაცემები, ხარჯვის პერიოდი) წერილობით/ელექტრონულად მიმართავს სატენდერო კომისიას, ხოლო 3 000 ლიტრზე ნაკლები მოცულობის შემთხვევაში – ასეთი შესყიდვის განხორციელების თაობაზე ცნობის სახით (პრემიუმის მოცულობა, სატრანსპორტო საშუალება და მისი საშუალო საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე ან საწვავის მოხმარების სხვა ობიექტის ანალოგიური მონაცემები, ხარჯვის პერიოდი) ელექტრონულად ატყობინებს სატენდერო კომისიას, მას შემდეგ რაც გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას. ამ პუნქტით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში 3 000 ლიტრზე ნაკლები მოცულობის პრემიუმის შესყიდვისთვის არ არის საჭირო სატენდერო კომისიის თანხმობა.

თ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. საწვავის ხარისხის და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიას 2014 წლის განმავლობაში სამჯერ არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით წარუდგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით შემდეგ პარამეტრებზე საწვავის შესაბამისი ტიპის გათვალისწინებით: *[ოქტანობა/ ცეტანის რიცხვი]*, სიმკვრივე, ტყვიის შემცველობა, ბენზოლის მოცულობითი წილი, არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი, გოგირდის შემცველობა, ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის კალიბრი.

6.2. შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გეგმიური ექსპერტიზის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში - ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯები უნდა გაიღოს იმ მხარემ, ვინც მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქვს უპირატესი ძალა, თუ იგი შესრულებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება გააჩნია საწვავის ექსპერტიზის სფეროში. ალტერნატიული ექსპერტიზის შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებელს შორის (მაგ. საწვავის წარმომობის ქვეყანასთან, მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან და სხვა საკითხებთან მიმართებაში, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ექსპერტიზის დასკვნის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა).

6.3. თუ შემსყიდველი სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მისი ავტორიზებული ავტომანქანების დაზიანების ფაქტთან საწვავის შესაძლო კავშირს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს არაგეგმიური ექსპერტიზის ჩატარება სატენდერო კომისიის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და სატენდერო კომისიისთვის შედეგების წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

6.4. მიმწოდებელმა და შემსყიდველმა ყოველი თვის 10 რიცხვამდე სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით ინფორმაცია წინა თვის მოხმარებული საწვავის შესახებ.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული პრემიუმის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *[პრემიუმი, არანაკლებ 95, არანაკლებ EURO4]* ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით წინამდებარე ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დაჩენილი თვეების რაოდენობაზე.

9.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი ამკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მახრეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

11.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ფორს-მაჟორის სიტუაციების დასრულების შემდეგ გონივრულ ვადაში უზრუნველყონ ფორს-მაჟორამდე არსებული ვალდებულებების შესრულება.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის	შპს „ლუკოილ ჯორჯია"
ეკონომიკის სამინისტრო	
მინისტრი	გენერალური დირექტორი
ავთანდილ ბაგანია	ზაზა ქათამაძე
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
მის: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. N42.	მის: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
	სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.
ს/კ 249 267 172	ს/კ 204 976 302
სს „პრივატბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE23TP0034080020001327	ა/ა GE52 BG00 0000 0117 3981 01
ტელ/ფაქსი: 032 239 41 13	

დანართი N1.
2014 წლის სატენდერო ხელშეკრულებაზე
ხელშეკრულება N175, 30.12.2013 წ.

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	საორიენტაციო რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო საორიენტაციო ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1.	პრემიუმი არანაკლებ 95	არანაკლებ EURO 4	ბულგარეთი	14689 ლიტრი	1.77 ლარი	26000 ლარი	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	01.01.2014-დან 31.12.2014-მდე

შემსყიდველი:
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ეკონომიკის სამინისტრო
მინისტრი
ავთანდილ ბაგანია
(ხელმოწერა)

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42.

ს/კ 249 267 172
სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22
ა/ა GE23TP0034080020001327
ტელ/ფაქსი: 032 239 41 13

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ ჯორჯია"

გენერალური დირექტორი
ზაზა ქათამაძე
(ხელმოწერა)

მის: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.
ს/კ 204 976 302
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE52 BG00 0000 0117 3981 01

დანართი N2
2014 წლისსატენდერო ხელშეკრულებაზე
ხელშეკრულება N175, 30.12.2013 წ.

პლასტიკური ბარათების დასამზადებლად და აგაი-ს სისტემით მომსახურებისათვის საჭირო

ავტომანქანების მონაცემები

ორგანიზაციის აბრევიატურა (არაუმეტეს 5 სიმბოლო ლათინურად) MEA.

შენიშვნა:

- დანართში შეტანილი უნდა იქნეს 2013 წლის ტენდერში მონაწილე იმ ავტომანქანების მონაცემები რომლებიც მონაწილეობას განაგრძობენ 2014 წლის ტენდერის ფარგლებში, ასევე ახალი ავტომანქანების მონაცემები რომლებზეც 2014 წლის ტენდერის ფარგლებში ესაჭიროებათ პლასტიკური ბარათები და რომელთა მონაცემებიც წინამდებრე დანართში უნდა გაიმიჯნოს მარკერით (სხვა ფერად).
- დანართი 2-ის ელექტრონული ვერსია Word-ის ფორმატში გამოგზავნილი უნდა იქნეს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:zchichikoshvili@unigroup.ge

№	ავტომანქანის სახ.ნომერი (ლათინურად)	ავტომანქანის მარკა (ლათინურად)	ავტომანქანის მოდელი (ლათინურად)	გამოშვების წელი	საწვავის ლიმიტის ტიპი (თვის ან დღის)
1	FVF - 308	MERCEDES-BENZ	C200	2000	თვის
2	JSJ - 101	HONDA	CR-V	2000	თვის
3	GMG-373	NISSAN PATHFINDER	SE	1996	თვის

შემსყიდველი:
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ეკონომიკის სამინისტრო
მინისტრი
ივთანდილ ბაგანია
(ხელმოწერა)

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42.

ს/კ 249 267 172
სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22
ა/ა GE23TP0034080020001327
ტელ/ფაქსი: 032 239 41 13

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ ჯორჯია"

გენერალური დირექტორი
ზაზა ქათამაძე
(ხელმოწერა)

მის: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.
ს/კ 204 976 302
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE52 BG00 0000 0117 3981 01

დანართი N3
2014 წლისსატენდერო ხელშეკრულებაზე
ხელშეკრულება N175, 30.12.2013 წ.

ავტოგასამართი სადგურების ჩამონათვალი

ქ. თბილისი

1. საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია;
2. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, „ვახუშტის ხიდის" მიმდებარე ტერიტორია;
3. საბურთალო, გმირთა მოედანთან, „ლაგუნა ვერეს" წინ;
4. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, რესტორან „იმერეთთან";
5. დიდუბე, წერეთლის გამზირი, „სამთოქიმიის" მოპირდაპირე მხარეს;
6. დიდუბე, წერეთლის გამზირი, „სამთოქიმიის" მიმდებარე ტერიტორია;
7. გლდანი, შეშელიძის ქ. N24, მეტრო „სარაჯიშვილის" მიმდებარე ტერიტორია;
8. დიღომი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ (თბილისის შემოსასვლელში);
9. დიღომი, აღმაშენებლის მე-13 კმ (თბილისის გასასვლელში);
10. დიღომი, აღმაშენებლის ხეივნისა და მიქელაძის ქუჩის გადაკვეთა;
11. მ. ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორია, ს.ს. „ცისარტყელას" მოპირდაპირე მხარეს;
12. საბურთალო, გელოვანის გამზ. N6, მედვინეობა-მევენახეობის ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორია;
13. ვაკე, თამარაშვილის ქუჩა, ყაზბეგის გამზირის გადაკვეთასთან;
14. კახეთის გზატკეცილი, ორხევის ხიდთან (თბილისის შემოსასვლელში);
15. კახეთის გზატკეცილი, მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორია (თბილისის გასასვლელში);
16. ავლაბარი, წურწუმიასა და კროპოტკინის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია;
17. ორთაჭალაჰესთან, N72-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორია;
18. ვარკეთილი, ჯავახეთის, კალოუბნის და შუამთის ქუჩებს შორის.

რეგიონები:

1. ქ. ხაშური, ბორჯომის გადასახვევთან;
2. თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალი, სოფ. ოკამი;
3. ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი;
4. ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის N98, მისასვლელი ჭავჭავაძის მხრიდან;
5. ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N18;
6. ქ. ონი, ვახტანგ მე-6-ის ქუჩა N8ა;
7. ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის N21;
8. ქ. მარნეული, 26 მაისის მოედანი;
9. ქ. ბათუმი, აღმაშენებლის N4 (მეგობრობის N2);
10. ქ. ბათუმი, გოგოლია ქ. N1;
11. ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N25;
12. ქ. გორი, გორი-ცხინვალის გზატკეცილი N2;
13. ქ. ჭიათურა, შიო მღვიმელის N4ბ;
14. ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის N185;
15. მცხეთის რაიონი, სოფ. მისაქციელი;
16. ბაკურიანი, ბორჯომის ქუჩა;
17. ნინოწმინდა, თავისუფლების ქ. N35;
18. ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. N10;
19. ქ. ქობულეთი, მ. აბაშიძის N14;
20. წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი;

21. ქ. ახალციხე, კოსტავას ქუჩა;
22. ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N9;
23. გურჯაანის რაიონი, სოფ. ჩუმლაყი;
24. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის ქ. N62ª;
25. ქ. ხონი, ჭანტურიას ქ. N157;
26. დედოფლისწყარო, სოფ. ოზაანი;
27. სიღნაღის რაიონი, სოფ. ბოდბე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ეკონომიკის სამინისტრო
მინისტრი
ავთანდილ მგაბია

_____
ხელმოწერა

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42.

ს/კ 249 267 172
სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22
ა/ა GE23TP0034080020001327
ტელ/ფაქსი: 032 239 41 13

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ ჯორჯია"

გენერალური დირექტორი
ზაზა ქათამაძე

_____
ხელმოწერა

მის: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.
ს/კ 204 976 302
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE52 BG00 0000 0117 3981 01

დანართი N4
2014 წლისსატენდერო ხელშეკრულებაზე
ხელშეკრულება N175, 30.12.2013 წ.

1. პლასტიკური ბარათის მიღების, მოხმარებისა და მისი საშუალებით საწვავის შეძენის წესები

1.1. პლასტიკური ბარათის მიღების საფუძველს წარმოადგენს „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის გაფორმებული „სატენდერო ხელშეკრულება".

1.2. პლასტიკური ბარათების რაოდენობა და მისი საშუალებით შესაძენი საწვავის სახეობა განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული „სატენდერო ხელშეკრულების" დანართი 2-ით.

1.3. პლასტიკური ბარათები „შემსყიდველს" გადაეცემა მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი (ხელმძღვანელი ან მინდობილობით აღჭურვილი) პირები.

1.4. პლასტიკური ბარათი თავისი მუშაობის სქემით წარმოადგენს საკრედიტო ბარათს, რომელზეც წინასწარ არ ხდება საწვავის დარიცხვა და შესაძლო გასახარჯი მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ დაწესებული ლიმიტით, ხოლო შემსყიდველს საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოეწერება პლასტიკური ბარათის საშუალებით რეალურად განხორციელებული ტრანზაქციების მიხედვით.

1.5. პლასტიკური ბარათებთ საწვავის გაცემას „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ხელშეკრულების დანართი №3-ით და მხარეთა დამატებითი შეთანხმების საფუძველზე მითითებული ავტოგასამართი სადგურების საშუალებით.

1.6. პლასტიკური ბარათით შეძენილი საწვავის ფასის დაანგარიშებისა და ანგარიშსწორების წესი განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული „სატენდერო ხელშეკრულების" მიხედვით.

1.7. პირადი ანგარიშის (ელექტრონული გვერდის) მართვის მიზნით, მომხმარებლის სახელი (ლოგინი) განისაზღვრება შემსყიდველის საიდენტიფიკაციო კოდით, ხოლო პაროლს შემსყიდველი ირჩევს დამოუკიდებლად.

1.8. პლასტიკური ბარათებით საწვავის მოხმარებას „შემსყიდველი" „მიმოწდებლისაგან" დამოუკიდებლად აკონტროლებს და მართავს „მიმწოდებლის" ვებ.გვერდზე (www.lukoil.ge) დარეგისტრირებული პირადი ანგარიშის საშუალებით.

1.9. „შემსყიდველი" პლასტიკური ბარათის შენახვას უზრუნველყოფს შემდეგი პირობების დაცვით:

- პლასტიკური ბარათის შენახვის ტემპერატურაა -20^0 $+55^0$C
- აუცილებელია მიკროსქემის დაცვა დაბინძურებისა და მასზე სხვადასხვა სახის ზემოქმედებისგან.

1.10. დაუშვებელია პლასტიკურ ბართზე ძალისმიერი ზემოქმედება (გაღუნვა და სხვა ტიპის დაზიანება).

1.11. ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავის ჩასხმისას, „შემსყიდველი" ვალდებულია, ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელს წარუდგინოს პლასტიკური ბარათი და დაუსახელოს ჩასასხმელი საწვავის სახეობა და რაოდენობა.

1.12. პლასტიკური ბარათით განხორციელებული ყოველი ოპერაციის შემდეგ შემსყიდველს გადაეცემა ოპერაციის ამსახველი ამონაწერი ტერმინალის ქვითრის სახით.

1.13. ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავი გაიცემა მხოლოდ პლასტიკურ ბარათზე მითითებული სახ. ომრის მქონე ავტომობილზე.

1.14. ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავი არ გაიცემა:

- დაზიანებული პლასტიკური ბარათის საშუალებით.
- თუ პლასტიკური ბარათი არ გამოიყენებოდა ექვსი თვის განმავლობაში და მის გააქტიურებისათვის შემსყიდველს იგი არ წარმოუდგენია მიმწოდებლისთვის.
- თუკი ამოიწურა საწვავის მიღებისათვის განსაზღვრული ლიმიტი.
- სახ. ნომრიანი პალასტიკური ბარათის საშუალებით რაიმე სახის ჭურჭელში ჩასხმით.

2. პლასტიკური ბარათით განსაზღვრული მომსახურება

2.1. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული "პლასტიკური ბარათების მართვის ინსტრუქციის" შესაბამისად განახორციელოს პირადი ანგარიშის მართვა მიმწოდებლისგან დამოუკიდებლად.

2.2. შემსყიდველის პირადი ანგარიშის საშუალებით პლასტიკური ბარათი მოიცავს მომსახურების შემდეგ ფორმებს:

2.2.1. სალიმიტე სქემა – დღიური ან ყოველთვიური ხარჯვის ლიმიტის ოდენობის დაწესება და მისი ცვლილება მიმწოდებლისგან დამოუკიდებლად;

2.2.2. ОИЛ– ლიმიტის ცვლილება დისტანციურად;

2.2.3. ხარჯვის კონტროლი;

2.2.4. ბარათის დაბლოკვა მიმწოდებლისგან დამოუკიდებლად;

2.2.5. პირად ანგარიშის საშუალებით განხორციელებულ ოპერაციებზე ინფორმაციის მიღება;

2.2.6. პლასტიკურ ბარათზე განხორციელებულ ოპერაციებზე ინფორმაციის მიღება;

3. მიმწოდებლის ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ განაცხადის გაკეთების დღიდან, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უზრუნველყოს პლასტიკური ბარათების დამზადება.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული პირობები.

4. შემსყიდველის ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი ვალდებულია დამოუკიდებლად განახორციელოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ქმედებები პლასტიკური ბარათის მართვასთან დაკავშირებით.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ბარათის შენახვის პირობები.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული პირობები.

5. სხვა პირობები

5.1. წინამდებარე დანართი წარმოადგენს „სატენდერო ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს და შედგენილია სამითანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „მიმწოდებელს" ხოლო - ორი „შემსყიდველს".

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ეკონომიკის სამინისტრო
მინისტრი
ავთანდილ ძაგანია

(ხელმოწერა)

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42.

ს/კ 249 267 172
სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22
ა/ა GE23TP0034080020001327
ტელ/ფაქსი: 032 239 41 13

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ ჯორჯია"

გენერალური დირექტორი
ზაზა ქათამაძე

(ხელმოწერა)

მის: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.
ს/კ 204 976 302
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE52 BG00 0000 0117 3981 01